ხელშეკრულება #16

ქ. კასპი 27. 04. 2018 წელი

ერთის მხრივ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, შემდგომში **„შემსყიდველად“** წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, გივი მელაძის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე და **მეორეს მხრივ ი/მ გიორგი ეთერია** შემდგომში **„მომწოდებლად“** წოდებული, წარმოდგენილი გიორგი ეთერიას სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში შემთხვევითი გათხრების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულის ასლის შეძენა.

CPV – 92300000 - (გასართობი მომსახურეობები)
92311000 - (ხელოვნების ნიმუშები)

2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა 300 ლ (სამასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.1. საქონლის მოწოდების შემდეგ დროულად მოახდინოს ანგარიშწორება.
4.2. „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1. დროულად მოაწოდოს საქონელი შემსყიდველს.
4.2.2. უზრუნველყოს საქონლის სათანადო ხარისხი და ეფექტურობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

6.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. მომსახურეობის გაწევა განხორციელდება 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით

აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება;
მისამართი: ქ. კასპი **სააკაძის** ქ. №68
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 232559807
მიმღების დასახელება- ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი-TRESGE22
ს/კ 232559807

„მომწოდებელი”
ი/მ გიორგი ეთერია
მისამართი: ქ. **გალი.**
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ნ GE78PG0133600100047228
სს „პროკრედიტ ბანკი”
ბანკის კოდი: MIBGGE22

„შემსყიდველი“
კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების **დირექტორი:** გივი მელაძე

„მომწოდებელი“

ი/მ გიორგი ეთერია